



1
1964

ზოგიერთ კომენტარებში არ ზრუნავენ პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის, მეცხოველეობის ფერებში შრომატევად სამუშაოთა შექანიზაციისა და პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებისათვის.

ნახ. ჯ. ლოლუაშვილი

ტრაპანიტა და ლაქლქით
გორები „დაღბა“ საკვების;
შირის იქითაც კარგად ჩანს
მისი საყვანი საყვანი.

№ 21 თბილისი ოქტომბერი 1964

ნენე

გამოცემის 42-ე წელი. ფასი 20 კპ.

ნავთლულის დასახლება № 47-ში (ყოფილი 264) მდებარე არაკაპიტალური სახლი 1944 წელს სულ რაღაც 13 კვადრატულ მეტრთან ერთ ოთახს შეიცავდა, 459 კვადრატული მეტრი ნაკვეთი ეჭირა და მოქალაქე სარქის კირაკოსის ძე ოგანეზოს ეკუთვნოდა.

მერე ოთახების რაოდენობამ თითო-თითოდ იმატა, გაიზარდა ნაკვეთი და მოზინადრე ოჯახების რიცხვიც.

მერე დაიწყო პატარ-პატარა ხუხულების გაყიდვა, ყიდდა აწ განსვენებული სარქისი, ყიდდა მისი ქალიშვილი არაქსი, ყიდდა სარქისის ძმა და ყიდდა სარქისის ძმისშვილი რაჩიკი.

ყიდულობდნენ ლალიაშვილი, ადამიანი, მერაბოვი, დანიელიანი. სარქისი გარდაიცვალა, არაქსი სხვაგან გადავიდა, რაჩიკი სადღაც გადაიკარგა, ახალმოზინადრეები იხდიდნენ ბინის ქირას, ცოტ-ცოტას, კანონიერად თუ უკანონოდ, უმატებდნენ თავიანთ ბინას და იყო მშვიდობა ცაბა და სხვადასხვა ორგანოების მიერ აწ მრავალგზის ნახსენებ ზემოთ ხსენებულ ეზოსა ზედან.

„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმეს განა?“ და არც იმ ეზოს მოზინადრეები გაახარა.

ერთ მშვენიერ დღეს ქარიშხალივით მოვარდა არაქსი სარქისის ასული, ეს სახლი ჩემია, ის მიწა ჩემია, ან სახლები დამითმეთ, ან ქირა მაძლიეთ, თორემ, რაც არ გინახავთ, იმას განახებთო.

ქსოვრისის კოლმეურნეობის ხეხილის ბაღების ყარაულ არსენა თათარიშვილს გაჟაკობა აო გამოუჩენია, რომ შესტირეა შაირსიტყვით ქება-დიდება შეესხა მისთვის. სამაგიეროდ არსენამ ისეთი რამ ჩაიდინა, რაც მის სახელს არ ეკადრებოდა და ფელეტონის გმირიც გახდა.

არსენამ ვერ გაუძლო ლოყა-წითელი ვაშლების ცდუნებას და მოიპარა ისინი.

კოლმეურნეობის ვაშლს ყარაული არსენა ყარაულობდა და ყარაულ არსენას—კოლმეურნეთა ფხიზელი თვალი.

არ გამოეპარათ ფხიზელ კოლმეურნეებს არსენას ხელმრულობა... განაცხადეს მცხეთის მილიციაში და ახლა სამართლის დამცველებთან ერთად კი არ მიეპარენ, მიაღწენ არსენას.

მაშინ არ ეცალა არსენას, ბაზარში წასაღებად დარჩეულ ვაშლებს აწყობდა ყუთებში. ასე სამასიოდე კილოგრამი ვაშლის გამზადება მოესწრო მხოლოდ.

ამავე რაოდენობის კეზურა ჯიშის ვაშლი სახლის სხვენში შემოენახა ყაირათიან ყარაულს, ალბათ, იფიქრა, აქ უფრო კარგად შეინახებაო.

მერე მაცდუნებული ვაშლებიც წაიღეს და სამსჯავროში მიაბრძანეს არსენა:

სამართალი გამართონო, იქნებ მისი მრუდე ხელი ახლა მაინც გამართონო.

ნატასტრის საბჭოთა მეურნეობაში ნაკლები სიფხიზლე როდი გამოუჩენიათ, რამეთუ

დიახ, მოვარდა არაქსი და მოიტანა ჭირი და ჭრეა, ქაღალდებში ცურვა, ერთმანეთზე მიწვე-მოწვეა, უთავბოლო მიწვე-მოწვეა, ხილი და ჭეჭა, საბუთებში ქეჭვა, საჩივრების ნიაღვარით შეძრა ცა და ქვეშეთი... ვერ მოიგო ვერც ერთი.

კვლავ უხშირა ჩივილებს, მუქარას, სხვათა და სხვათა ორგანოთა კარების ატალახებას, და მიაღწია ზოგ-ზოგთა მორბილებას, გულის აჩვილებას, ამა თუ იმ გზით მიმხრობას და მერე საქმის ხელახლა და ხელახლა განახლებას! ამნაირი უთავბოლო გაწამაწია ხდება, განა არა ხდება, მაგრამ რატომ ხდება? რისთვის ხდება? რა სარგებელი მოაქვს ან, საერთოდ, ან ვინმესთვის? ხომ შეიძლება პირდაპირ ეთქვას ამა თუ იმ საჩივრებისათვის მოცლილს, არა ხარ მართალი, ტყუილუბრალოდ ედები ღობე-ყორეს, მოეშვი ამო საქმეს და მოისვენე, ბიძიაო?

ერთხელ გაყიდულის ხელახლა გაყიდვას თაღლითობა ქვია. ერთხელ ნაყიდს, ხელახლა, თუ არა ბრიყვი, ვინ იყიდის! ჰოდა...

ვინ ბრიყვები, ნახა არაქსი ოგანეზოვამ, რომ აიგლო ქვეყანა და ვერ დასვა წერტილი.

ხომ უნდა დაესვას წერტილი მის საჩივრებს და ხომ უნდა მოისვენოს ხსენებულმა ეზომ არაქსი ოგანეზოვასაგან.

მერე მათ სხვა რამე თქვეს, ვახტანგმა სხვა რამე თქვა, მეოე თივას დაუწყეს შლა, ვითომც ისე, შემთხვევით, და ვაშლის გორას მიაღწენ.

ვახტანგმა გლახა ჭრიაშვილის ლოგიკით დაიწყო განძარტება. ჯერ თქვა, ვაშლი ნათესავისგან ვიყიდეთ, შემდეგ დაუმატა მამაჩემის ბაღშიც დაგვრიფეთ, ბოლოს განაცხადა, ვის ბაღშიაც ნახეთ, პასუხი იმას აგებინეთო.

როცა მახეში გაბმულს აბდაუბდა განძარტებამ ვერ უშველა, აღიარა: მეურნეობის ბაღში ჩუმ-ჩუმად დამიკრეფია და თუ გაჩუმდებით, მაღარიჩი ჩემზე იყოსო.

ქურდის მაღარიჩი არავინ ისურვა და დღის სინათლეზე გამოჩნდა ვახტანგის დანაშაული.

ნახ. ბ. ფირცხალავასი



თანამედროვე ალკიმიკოსი.

ბარათები ნიანგს

აზხანაგო ნიანგო

გორის რაიონის სოფელ ზემო ზვედურეთში თუ უფილხარ, ალბათ, მის ღირსებებსაც შეამჩნევდი და ნაკლავანებებსაც. მაგრამ, რაკი არა უფილხარ, მც სულ იქა ვარ და კარგსაც მოგიყვები მასზე და ცუდსაც.

ჩვენი სოფელი არც ერთ თანამედროვე სოფელზე ნაკლები არაფრით არის, ყველაფერი კარგი და ღამაში გააჩნია, ბარაქიანცაა და ღამაშიც, მის ღირსებებზე სამი დღე რომ გელაპარაკო, ალბათ, არც მე მომწყინდება და არც შენ. მაგრამ ერთი ნაკლი აქვს და ისევ ისა ჯობია ვითხრა, რომ ისიც მოცილდეს და მერე უფლად შემკობილი იყოს, როგორც მას მართლა შეეფერება.

კლუბი გვაქვს ერთი, ამ ხუთი წლის წინათ აშენებული. შეუღლესაც რომ არის და დაუმშენებელი, იმაზე არაფერს გეუბნები, გულს ის მიკლავს, რომ შიგ უფელ სადამოს არ არის სინათლე და, თუ არის, ისე ბუუტავს, რომ თითის თვალთან მიტანა, ასე თუ ისე, ნამდვილ ვაუკაცობად ითვლება.

იქიდან სულ კილომეტრნახევრის მოშორებით სინათლე განუწყვეტლივ და ძაბვაც შესაფერისია.

ჰოდა, ჩვენც მოგვცენ სინათლე, რომ, როცა რამეს გვიჩვენებენ (თუმცა ასეთი ბედნიერება ახალ მთვარესავე იშვიათი მოვლენაა ჩვენში) თვლების ზედმეტი დაძაბვის გარეშე დავინახოთ, ჩვენც მოგვხედონ, კლუბსაც მისცენ სინათლე და სოფელსაც. დასაბრმავებელი ხალხი სულაც არა ვართ.

ბ. თოფჩიშვილი

კვირვასო ნიანგო

გოგონა მისაწვევ ბარათს და ნახე ჩვენი სოფლის ღირსშემწევლობა, სამკითხველოს წინ ღობეზე სარეცხვით გადაკიდებული ზეწრის ფართობზე კინოპარკიდან ამოვარდნილი კადრები ფეხებს რომ იმტვრევენ. საპარიკმახეროსა და ღობეს შორის გაქაჩული აფრია სულ რამდენიმე საათი რომ ცოცხლობს და მერე მისი ბუმბული ველად გააქვთ ბავშვებს, ნაჭიშკრალში რომ იყიდება ბილეთები და ჯორკობზე რომ იკლავთ მყურებლები, ზაფხულობით კოლოები სისხლის ანალიზს რომ უღებენ და ბუილით უყრუებენ ყურებს, კინოსურათის ჩვენება რომ დაიწყება და იწყება ხმის ჩახლჩამდე ყვირილი: „საბოლოო!“, „რამა!“, „ზეუკ!“, „ზეუკ“ — შინ ვახშობისას რომ ბრუნდება ხალხი და სინათლე რომ ერთბაშად ჭრება და მამაბაპურ ჭრავს მიმართავს, როგორც მესიას.

კინოსურათის ჩვენების დროს რომ წამოუბერავს ზღვაური, მოჭურუშდება ცა და თავის ნატებს კოცისპირულად უშვებს ხალხის თავზე. როგორ ირევა მონასტერი, ვინ ხად გარბის და ვინ ხად სევდიანი ღამის ციური ცრემლებით დანამული.

ნახე გადაუხურავი კლუბი და ჩვენი გართობამოკლებული, უსიხარულო საღამოები და შეახსენე ვისაც ჭერ არს...

ჰო მართლა, მისამართის მოწერა დამეწიქდა: ოჩამჩირის რაიონი, სოფელი ახალდაბა.

ჰოდა, აბა გვინახულე.

სკამს ვერ დაგახვედრებ, მაგრამ ჯორკოს მოგართმევ და, შენიც თუ არ შეისმინეს, იქნება ვინმეს თავში უთავაზო: ვისაც ენით ნათქვამი არ ესმის, ხელით ხომ მაინც უნდა გააგებინო.

ახალდაბელი



— იყო „აღმოსავლეთის“
ახლა არის „აიხი“,
დასავლეთში, რატომღაც,
არაფერი არ ისმის!

ზოგები მიეღოთ

საფრეზერო ჩარხი გაფუჭდა. საჭირო გახდა ახალი. სამმართველოში დესპანად მე გამაგზავნეს. მეორე დღის ცხრა საათზე მის კაბინეტთან დავიშუდე. თერთმეტის ნახევარზე მდივან ქალს შემკითხე:

— მმართველი მოვა?

მან თითები ნერწყვით დაისველა. წარბები აიშვილდა და მიპასუხა:

— ა კაპე!

ერთ ადგილზე დგომა მომწყინდა. დღის სამ საათამდე დერეფანში ვიწყე ბოლთისცემა და ბოლოს მდივან ქალს ვუსაყვადურე:

— ესაა თქვენი „კაპე“, რატომ იგვიანებს მმართველი!

— ეგ რომ ვიცოდე, ღმერთი ილია წინასწარმეტყველის ადგილს მომცემდა...

„სერიოზის“ დროს ერთ კარგზე წავიკითხე „უცხო პირთა შესვლა აკრძალულია!“ დამაინტერესა, შევადგე. მაგიდას ორი კაცი შემოსდომოდა, ჭადრაკს თამაშობდნენ, რა თქმა უნდა, გულშემატკივრებით. მეც შევეურთდი. ერთ წუთში გაგვცანი მოწინააღმდეგეთა საბრძოლო პოზიციები, უეცრად შევნიშნე, რომ თეთრებს ჰქონდათ ბრწყინვალე სვლა, რაც მე სხამალა წამოვიძახე. ამაზე ყველამ ამოიხარა, ერთ-ერთმა შემასხენა: — აქ უცხო პირთა შემოსვლა აკრძალულია, — თითით მიჩვენა კარები, წინააღმდეგობა აღარ გამიწვევია, რადგან დამნაშავე ვიყავი. რომ გამოვდიოდი, სიტყვები მომხვდა ყურში:

— კონსტანტინე ივანოვი, სხვისი ნათქვამით როგორ ვითამაშებ?

ნაცნობი სახელი და მამის სახელია, სადღაც გამოიგონია. მივლინების ქალაქს დავეხდე... კონსტანტინე ივანეს-ძე ჯაბაძე. ეს ხომ ჩვენი მმართველია! შევადგე კარები. ვილაყამ მომიხურა:

— წავიკითხე კარებზე გაკრული!

ხელმეორედ შევადგე კარები, ისევ მომიხურეს:

— შენ რა, კითხვა არ იქი?

მესამედ ბოლმამორეული შევეადრი, კონსტანტინე ივანის მივასალე:

— თქვენთან ვარ მივლინებით!

— მე კაბინეტი მაქვს!

— აქ რა, არ შეიძლება?

ვილაყა წაეხმარა მმართველს: — უკვე ნ საათია, ამოიწურა სამუშაო დრო.

— ჯობია, ხვალ მოზრდანდეთ. — დამაწყნარა მმართველმა.

— სახელმწიფო ზარალს მიიღებს. — შევასხენე. მმართველი კი მამშვიდებდა: — ხვალდან ზომებს მივიღებთ, არაა გვიან.

მეორე დღეც ბანალური იყო — მმართველი არ ჩანდა. „ნაკრძალ“ ოთახს მივაღეჭი, კარებთან შევეჩერდი. ოთახიდან ისმოდა ფიგურების პაკიპუკი. კარის შეღება ვცადე, დაკეტილი აღმოჩნდა.

...ზომები მივიღეთ.

ა. ადვიშვილი

მინიშნულები

დედიკოს სამსახური

ტროლეიბუსით მგზავრობის დროს ჩემი ყურადღება პატარა გოგონამ მიიპყრო.

— ბებიკო, ბებიკო, — ეტიტინებოდა იგი ხანშიშესულ მანდილოსანს, — თუ გინდა, შენ წადი დედიკოს სამსახურში, მე და დედიკო კი სადილებს გავაკეთებთ და საბავშვო ბაღში ერთად ვივლით?!

მოსუცმა პასუხი არ გასცა, ფიქრებში იყო წასული. გოგონას მე გამოველაპარაკე და გავიგე, რომ მის ბებიკოს სახლში ჰქონია სამსახური, მან თურმე სარეცხი უნდა დარეცხოს, ბინა დალაგოს, ბაზარში წავიდეს და შეილიშვილი ატაროს საბავშვო ბაღში და სასეირნოდ.

— დედიკო სადღა მუშაობს? — შევეკითხე პატარას.

— ჩემი დედიკო სტუმრად დადის და მთელი დღე ტელეფონით ლაპარაკობს. — მიპასუხა ბავშვმა და დიდრონი თვალები შემომანათა.

აპანაღლეული ხმა

კამპანიაში დროს კარგად გავატარებდი, მაგრამ ერთმა სტუმარმა გამიფუტა სასიამო. ღვინო რომ დალია, ჯერ მის მიერ ჩადენილი „გმირობის“ ამბების მოყოლით შეგვიკლა ხელში, შემდეგ გაუთავებელი სიმღერით. საშინელი წვრილი ხმით გაჰკიოდა და ხმას ისე აკანკალებდა, რომ ყურთა-სმენა აღარ იყო.

— რას აკანკალებს ამ ხმას? — გაჟავრებული შევეკითხე მასპინძელს.

— საწყობის მუშაკია, ბატონო. სულ მილიცია და პროკურატურა ელანდება და შინაგან ხმის კანკალი დასჩემდა. — მიპასუხა მასპინძელმა.

შ. ვახტანგაძე



— კაცო, შენ როგორ უნდა წაიკითხო ლექცია ათეისტურ თემაზე?!

— ხატზე შემოძლია დავიფიცო, რომ ღმერთი არ მყამს!



ალბათ, ყველას ბავშვობის წლებიდან სხვადასხვა უცნაურობა ახსოვს. მე ბებიჩემის ლექსიკონიდან, „კნევე“ და „ყავე“ დამეძახებოდა. ეს იყო და ეს. რა ჰქონდათ საერთო მათ ერთმანეთთან, ვერ ვიგონებდი.

საწყალი ბებიჩემი, როგორც იტყვიან, უფალმა მიიღო. მე დავეაქაცდი და ცხოვრების კარები რიხით შევადე. ყველაფერი ასე წავიდა, როგორც ენატრობდი.

ჩემს სოფელს და თანაკლასელ კუკურასაც გაუმართლა ცხოვრებამ და ჯერის მის დაოჯახებაზე მიდგა.

„ყველაფერი რიგზე მაქვს, ხომ იცი, ცოტა რაღაც მაქვს: საჭორწილო ბეჭედი, მაჯის საათი და, თუ კბდე, რამეს კარგს ნახავ, ჩემზე უკეთ იცი. გამოცდილი ხარ მაგ საქმეში“. სახლში მომადგა, მოსკოვში მივლინებამ წასავლელად გამზადებულს, კუკურა და ოთხად მოკეცილი ფული და სიაჯიბში ჩაბეჭდა.

სამი საათის შემდეგ სასტუმრო „უკრაინის“ მეთექვსმეტე სართულის შესანიშნავ ნომერში გამოვიწვიე და ყურმილს ხელი დავავლე.

აბა, აქაური თქვენ უფრო იცით და, რაც გავიხარდებოდა, აგერ ვარ-მეთქი, — შემოვძახე ბიჭებს და გეზი რესტორნისაკენ ავიღეთ. სამი ათმანეთიანი ადგილად ამოსალე ბიჭებში გადავანაცვლე. მაგრამ დანახარჯი სამი მანეთი აღმოჩნდა. რა გჭაბოვ? მე პირადად დიდი სირცხვილი. „როგორ გეკადრება, ბიჭო, მოგვჭერი თავი?“ მომიხელთა მარტო თუ არა, მეტაკა ყვილაზე ასლო მეგობარი. „მთელი მსოფლიო ყავას სვამს და ეგ არ იცოდი? ყავა, ახლა ყვილაფერია, ყავა ეს ევროპაა, ყავა „ეტო სოფრემენოსტი“.

მეორე დღეს უჩვეულო საგნები გაჩნდა ჩემს ნომერში: „ეგ ყავის სახარში უნგრულია, ეს ყავის საჭვავი გერმანულია, ეს კი ბრაზილიური ყავაა, უმაღლესი ხარისხის, „სანტა...“, ეს სპეციალური ყავის სერვისია „ორმეტ კავზე“. ამაზე კარგს რას ჩაუტან კუკურას, რაღა დროს მაჯის საათი და ბეჭედი. გაგიჟდი?“ მე მართლა ვვიფხვებოდი. კუკურა და მე ერთად ვინათლებოდით.

თბილისის აეროდრომზე კუკურას სამი კოჩის შემდეგ კირომ მანქანით გზა პირდაპირ მესამე მასივისაკენ ავიღეთ და

სამოთხიანი ბინის კარები სამი გასაღებით გავაღეთ. „ჰო, ჰო, რა ჩამოგიტანე, კუკურა, რომ იცოდე, გაგიჟდები — ევროპა „ანწი-პუნწი“, მე ამოღებას შევედექი და თან ცალი თვალი კუკურასაკენ გავაპარე. „რაა, ბიჭო, მაგ, „კერასინკა“ ჩამოგიტანე მოსკოვიდან?“ — გაკვირვებული ეცა კუკურა ყავის სახარში.

„იცი შენ, მართლა... ეს, ბიჭო, ყავაა, ყავა! იცი ყავა რა არის?..“ „ყავა კი არა, საათი, საათი და ბეჭედი დადე, თორემ...“ — იკივლა კუკურამ. „ვამ შენ მართლა ბოთე, შენ... შენ პატრონს უბედურს, ვის გააკვირვებ, ბიჭო, ახლა შენ შენი საათითა და ბეჭდით, შე ბნელო, რომ გაგიგოს ცილაშ, ხომ გაგიჟდა. ყავა, ბიჭო, ყავით სამ მანეთად ათი კაცი ვაქეფე“. „რაგა“, დაუჯდა ჭკუაში კუკურას. „რაგა და ისე“. დამაჯერებელი ლექსის შემდეგ ავიყვანე კუკურას ინტელექტი საჭირო დონეზე და ყავის გასინჯვა შევთავაზე.

ასრიალდა ელექტროწისქვილი, აფშვითინდა სახარში და ბრაზილიური „სანტოსის“ დამატრბელი სუნი ახალმიღებულ ბინის სველი გავის სუნში აირია. „აუჰ, რა სუნი დააყენა ამ უპატრონომ“. — გაიკვირა კუკურამ და კარადიდან ბებიამისის ნაჭრის ნახევარლიტრიანი ჭიქა გამოაცურა. „დამისხი ერთი!“ ნახევარი საათის შემდეგ მესამედ ავახრიალეთ წისქვილი და სამმაგი საზომით ავაფშვითინეთ სახარში. „ეგ რაღაც „სანტოსია“, კაი ყოფილა, ხომ იცი შენ, მთითა აგერ, ახლა ჩემი ჯერია, შენ დაიღლებოდი“.

დამის თორმეტი საათისათვის უკვე ჩემი ინიციატივით მეცხრეჯერ მივაჭახუნეთ ნახევარლიტრიანი ჭიქები და კარებში გადავკოცნეთ ერთმანეთი. „შენ ავაშენა ღმერთმა, როგორც გინახავს ღმირი, ისე ვარ. ხვალ კი რვა საათზე შენთან ვარ ალიონზე და მერე რას ვიზამ, აგერ ნახავ შენ!“ — დავეშუქე მაყრებს და კარი გავიხურე. სახლში, როგორც ჩიტი, ისე მივედი. ხვალინდელი საქმე ერთხელ კიდევ გავიმეორე გუნებაში და თავი ლოგინში ვვარი. ძილი!.. ძილი? ძილი გაქრა სადღაც. ვიცავლე მხარი, შემდეგ ბალიში, საბანი ზეწრია შევცვალე, ლოგინი ტა-

ხტით, ტახტიდან იატაკზე გადავედი, შემდეგ ბოლთა დავარტყი, ბოლთიდან სპორტულ სიარულზე გადავედი, სიარულიდან სირბილზე და შეგატყვე ავმსუბუქდი, აფარფატდი და ლოგინზე დავეცი. ბურანში წასულს ვიღაცამ „მაწონიო“ მომამახა და მზე ფახარაბი ძემოზღვრილა. ყველაფერი გამოვიტრე — ძმაკაცი, ქორწილი, მეგობრობა, მაგრამ უცებ ყველაფერი ღმერთივით წავიდა, ღმერთი ჩემთან მოვიდა, საჩვენებელი თითი დამიქნია და ჩემსკენ წამოდიო მანიშნა, ცალ ხელში ყავის სახარში ეჭირა, ცალით კი ზარს აფლარუნებდა. კუკურა და ცილა ერთად იდგნენ და ორივეს ჩემსკენ ნახევარლიტრიანი ჭიქა ჰქონდა გამოწვდილი. ეგ რა არის-მეთქი, ვიყვირე, ყავი, ყავი მომწოდეთ-მეთქი და ღმერთმა უმატა ზარის რეკას, უმატა, უმატა და... ვაი ჩემს დღეს, ნავის ზარმა ლოგინიდან წამომაგდო. საათის ისარი ორს უახლოვდებოდა. დავიღუპე და დავღუპე ძმაკაცი, შევრცხე, დავაგვიანე, ტელეფონს ვეცი და, გაღმა შევიღავე, გამოღმა შეგრეხბას პოლიტიკა ავიჩრეი და ნომერი ავკრიფე... ყურმილი კუკურას მეზობლის ბეზამ აიღო, მომიმინა და მორიდებულთა მისაყვედურა: „აბა, ეს რავა გეკადრებათ, შეილგებო, სასიძო კაცის ქორწილის წინაღმეს დათრობა შეიძლება?! წუხელის მეგობრებმე ეზოში ტიტველი დაიჭირა და ძლივს სახლში შემოიყვანა. ახლა ძინავს, შეილო! ცილა მოვიდა, ცოტა იჩხუბა, ახლა ყავას უღულებს, ნამთვრალეზე კარგიათ. არადა, ეს მინდოდა მე, ამ წნევიან ქალს, მთელი დამე არ მძინებია?“

ბებიჩემ და წნევაზე საწყალი ბებიჩემი გამასხნდა. აღვადგინე ისიც, რომ „ყავე“ ყავა ყოფილა, „კნევე“ კი წნევა. შემდეგ ესენი შევკრიბე და ბებიჩემის სიტყვაც მოვიგონე: „ნენა, ქე მიყვარს ეს უღმერთო ყავე, მარა ბევრი კნევის მიმატებსო“. წნევის რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენ რომ გაგახეღა, ეს კი ნამდვილი იყო, ნამდვილია ისიც, რომ ყავა „სოფრემენოსტი“ არ ყოფილა, მას ბებიჩემიც სვამდა და საოცრად ზომიერადაც.

რა უნდა ელაპარაკო!

სამსახური 9-ზე მეწყება. წუხელ გვიან დავიძინე და პროპორციულად გვიან გამოვდგინე. ცხრას ათი წუთი უკლია. თავქუდმოვლევად გამოვრბივარ. აუცილებლად უნდა მივასწრო სამსახურში მისვლა და ტაბელის გადმოვრუნება. მიზეზები, რომლებიც ზოგჯერ კრიტიკულ მომენტებში მშველოდა, უკვე ამოიწურა და სანამ ახალ სამსახურში არ გადავალ, მათ ვერ გამოვიყენებ. აი ისინიც:

1. ჩვენი ტრამვაი კაცს დაეჭაბა და მოძრაობა შეფერხდა.

2. ჩემი ძმა გამოცდაზე ჩაიჭრა და, მამას რომ არ გავლახა, სახლში დავრჩი.

3. გასაღები გამომყვა და შუაგზიდან დავბრუნდი.

4. გაზის გამორთვა დამავიწყდა და მეზობლების ცოდვას ვერ დავიდებდი.

5. ტრესტში გამოვიარე და არავინ დამხვდა.

ჩვეულებრივად, ერთ-ერთი ამ მიზეზის გამოყენებისას, უფროსს ისეთი სახე ჰქონდა, გეგონებოდათ, ერთი ტონა მუავე კიტრი შეჭამაო.

ხემათ ჩამოთვლილი მიზეზების გარდა, კიდევ მრავალი იქნა გამოყენებული და, თავის დროზე, ზოგიერთ მათგანს წარმატებაც მოყვა, მაგრამ ახლა მხოლოდ ერთი რამ მიშველის: თუ ჩვენი უფროსი, რომელიც არავის არ აბარებს ანგარიშს, ან არ მოვა, ან დაავადიანებას. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს ძალიან იშვიათად ხდება, მეორეც, მე უპატრონო კი არა ვარ. რომ ერთი უფროსი მყავდეს და დანარჩენები პასუხს არ მთხოვდნენ.

რადაც არ უნდა დამიჯდეს, დროზე უნდა მივიღე. ჩემს ბედზე მოსახვევში მწვანე თვალთ აციმციმდა.

— ტაქსი, სიუ!

ჩავჯექი.

— შენი ჭირიმე, მაგვიანდება და, აბა, შენ იცი!

— კი, ჯიგარო!

მანქანა და ჩემი შეხედულება ტაქსის ცუდი მუშაობის შესახებ ერთად გაფრინდა. გზად ტაქსების გაჩერებას ჩავუარეთ. შოფერმა წინდახედულება გამოიჩინა

და, ვინმე რომ არ გაეჭყლიტა, ნელა წაიყვანა, თახხალს ათვალეერებდა, ბორბლებში არავინ ჩამივარდესო. ტაქსის გაჩერებიდან გოგია უიშვილივით თავგანწირული კაცი გამოვარდა და ხელის მალლა აწევით მოგვესალმა. შოფერიც მიესალმა და მანქანა გააჩერა.

— ნაღდად აურომიცინი ხარ რა, უეჭველში ვაგვიანებდი, ვაკეში გამოყვანე, — მიესალმა სიტყვიერად შოფერს და წინ დაჯდა. მანქანა წავიდა. ვერის ბაზართან შეუხვია და ვაკის გზაზე მერანხივით გაფრინდა.

— შენც ვაკეში გინდოდა, არა? — გამოიჩინა ზრდილობა შოფერმა.

— მე მოედანზე მივდიოდი! — ისე ვუთხარი, არც კი შემხედვია.

— ნუ გეშინია, მიგიყვან! — დამიძვინა შოფერმა.

გზაზე კიდევ ერთი კაცი გამოვარდა და მოგვესალმა.

— ცოდვას, ესეც ავიყვანოთ! — დამოთქვა თავისი აზრი შოფერმა.

წამოყენებული წინადადების მიღება-არმიღების საკითხს არავინ მეკითხებოდა, ამიტომ ჩავიწიე და ახალ მგზავრს ადგილი დავუთმე. პირველად პირველი მგზავრი მივიყვანეთ. მეორე სასაფლაოსთან გადმოვსვით და ჩემი სამსახურისაკენ წამოვედით. გზაზე კიდევ ავკიწია ხელი ვილაყვამ, შოფერმა შემატყო, კაცის ფერი რომ არ მქონდა სახეზე და მანქანის სვლა არ შეუწყვეტია.

ათის ათი წუთი იყო. სამსახურამდე მრიცხველმა 80 კაპიკი დაწერა. ხურდა ამოვიღე და მივეცი. შოფერმა დაითვალა, მერე მწყრალად შემომხედდა და თქვა:

— ამ დილაადრიან მთელი თბილისი დავათვალიერებინე და ოთხი აბაზის მეტს რომ არ იმეტებს, რა უნდა ელაპარაკო?

8. ბერაძე



— ცირკში რომ არ ემუშავა ჩამბაზად, ჩვენი სოფლის ხიდზე ხომ ვერ გაივლიდა!

ჩემი ძმაცხი კოლია

უცნობი მომიახლოვდა და მოწიწებით მითხრა:

— მაპატიეთ, ყმაწვილო, ერთი ჭიქა ღვინო დამილიეთ.

— როგორ?

— კარგი ვაჭაკი ბრძანდებით... აი, ისეთი, როგორიც გულს გაუხარდება და გთხოვთ, ცოტა ხნით...

— კი მაგრამ... ჩემზე უკეთესი ვაჭაკებიც დადიან.

— აჰ, არა, ბიძიკო. მე თქვენ გიცნობთ. მე გულის კაცი ვარ.

ამგვარად, უფულო, ჯიბეგაფხვილი სტუდენტი, პირველი კლასის რესტორანში აღმოვჩნდი.

გაიშალა სუფრა, მაგრამ რა სუფრა.

სიმართლე გითხრათ, კარგად მოვილხინე და დიდად პატივანცემი დავცილდით ერთმანეთს.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ შემეყარა გზაში ჩემი კეთილისმყოფელი. ვიფიქრე, ახლა მაინც აღარ გაიმეორებს იმ შეცდომას-მეთქი. აჰ, გაგიგონია, უარესი ამბები დაატრიალა. რა სუფრა, რა სასმელი, რა საჭმელი, რა ხარჯები!

ერთ დღეს ჩვეულებრივად გვეფიქრებოდა. ვილაყვამ მისი ამხანაგი შემოვიდა. დიდის ამბით შევეგება. გადახვია ხელი და ჩემს გასაცნობად მოიყვანა. უცნობი გახვედა. ჯერ მე მომაჩერდა, მერე ჩემს ძმაცხს.

— აჰ, არა, ძმაო, შეგშლია! — განაცხადა მან.

— რა, კაცო?!

— შე გამოშტერებული, მე სხვა გაჩვენე, ეს ის არ არის!

გაი ამ საათს. ვფიქრობ, რა დავიდარბაში ჩავვარდი. როგორც თეთრი ხელსახოცი, ისე გაფითდა ჩემი მეგობარი, საზარლად დააკარგუნა გბილები, მომართა მუშტი და ველოდები, ეს-ეს არის, რაღაც მჭი უნდა გავარდეს-მეთქი, რომ უცებ გამოიღარა, მომევა, მწარედ გაიღიმა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ჰმ... ამას რას ვერჩი, ამისი რა ბრალია, მე ვარ შტერი, გამოტყენებული. — თავში მუშტი ისეთი და ბანცალ-ბანცალით გავიდა კარში.

სად მიდიხარ ახლა, რას შერები! ვფიქრობ ეს რაა?! ყველა-ყველა, მაგრამ დანახარჯს გადახდა ხომ უნდა. მთელი ჩემი სტუდენტური საცხოვრებელი რომ გავყიდო, აუვა?!

— ყველაფერი გადახდილია, ბატონო!...

ძვირფასად გაწყობილი სუფრა მივატოვე. როგორც თქვენ არ გიხლიათ ხელი რაიმესათვის, ასევე მეც და გაოგნებული გამოვედი რესტორნიდან.

შემდეგ გამოირკვა, რომ ჩემი გულუხვი მასპინძელი კოლია ერთ-ერთი ტრესტის მუშაკი ყოფილა. მათთან ახლახან კარგი თანამდებობა განთავისუფლებულა და ამხანაგებს უთქვამთ, არიქა, დატრიალდი, ტრესტის მმართველს ერთადერთი ვაჟი ჰყავს, მოქვიფე, დარდიმანდი ყმაწვილო. საკმარისია იმან მამამისს ერთი სიტყვა ჩაუტრას, რომ... თურმე, მისმა ამხანაგებმა სხვაზე მიუთითეს, კოლიას კი მე ვგვინე... და ასე აირია მონასტერი.

781

სიკო სიკინილაძე

64

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. ლუმბაძე, ს. კლდიაშვილი,

ნ. მაღაზონია, მ. ქარჩავა, თ. ჰელიძე.

საქ. კბ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-41.

ხელმოწ. დასაბ. 5/XI-1964 წ. კალ. ზომა 70×108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კბ ცკ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 2930. უფ 12105. ტირაჟი 40000



მანევრები ლომის ტყავზე.

4 წლის წინათ ბუნდესვერმა მანევრების ჩასატარებლად ისტ-ლისში გადაისტოლა 400 ჯარისკაცი, შემდეგში ეს რიცხვი 2500 კაცამდე გაიზარდა, მომდევნო წელს 3000-მდე, ახლა კი 4000-ს აღწევს.